Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#31, თებერვალი, 2026

რუსული იდენტობის პოლიტიკური დისკურსი და მისი ჰიბრიდული გავლენის მექანიზმები საქართველოში

მარიამ ბირთველიშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: mariami.birtvelishvili018@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

რუსეთის პოლიტიკური იდენტობის საკითხი გასული ათწლეულებიდან დღემდე გადაიქცა აქტიურ პოლიტიკურ ინსტრუმენტად და არა მხოლოდ თვითაღქმის ფორმად. რუსული პოლიტიკური ელიტა აქტიურად იყენებს თავის ცივილიზაციურ ნარატივებს საგარეო ქმედებების ლეგიტიმაციისთვის. ეს პროცესი განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც საქართველო ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად შემთხვევას წარმოადგენს.

სტატია იკვლევს, თუ როგორ გარდაიქმნება რუსული პოლიტიკური იდენტობის დისკურსი „საშუალებად“ ამ შემთხვევაში - ჰიბრიდულ გავლენად საქართველოში. რუსეთი, თავისი ისტორიული საფუძვლით, კულტურითა და გეოგრაფიით, მუდმივად ცდილობს შეიმუშაოს ახალი პოლიტიკური სტრატეგიები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში აგრესიული და არაობიექტურია. ამგვარი პოლიტიკით რუსეთი ამართლებს იმ ჰიბრიდულ თავდასხმებს საქართველოს მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან არსებობს. ვგულისხმობ, სეპარატიზმის გაღვივებას აფხაზ და ოს მოსახლეობაში, დეზინფორმაციული კამპანიების წარმოებას მედიასაშუალებებით და კიბერშეტევებს ქართულ პოლიტიკურ საიტებზე. ეს ყველაფერი მიზნად ისახავს პოლიტიკური პრეფერენციების მანიპულირებასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე გავლენის მოხდენას.

კვლევა ეფუძნება რუსული პოლიტიკური დისკურსის ანალიზს, შესაბამისად, სტატიაში გაანალიზებულია ქართულენოვანი, ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი აკადემიური ლიტერატურა, რუსი პოლიტიკოსების ოფიციალური გამოსვლები, დეზინფორმაციული ნარატივებისა და სხვადასხვა საინფორმაციო ველზე გავრცელებული ტექსტების მაგალითები.

შედეგები აჩვენებს, რომ რუსული დისკურსის გადმოტანა ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტში ძირითადად ეყრდნობა ანტიდასავლური ნარატივების გავრცელებას, „ტრადიციული ღირებულებების“ დაცვის საკითხს და კულტურულ თუ რელიგიურ სიახლოვეზე დაფუძნებულ არგუმენტებს, რომლებიც გავლენას ახდენს საზოგადოების აზრის ფორმირებასა და საქართველოში პოლიტიკური არჩევანის თავისუფლებაზე.

საკვანძო სიტყვები: რუსული იდენტობა, ჰიბრიდული თავდასხმები, პოლიტიკური დისკურსი, დეზინფორმაცია, საქართველო.

შესავალი

ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკაში ძალაუფლების ბუნება არსებითად შეიცვალა. თუ ადრე სახელმწიფოები ერთმანეთს იარაღითა და მატერიალური რესურსებით ეჯიბრებოდნენ, დღეს ისინი საგარეო პოლიტიკას უფრო მეტად საკუთარი იდენტობის, იდეებისა და დისკურსის საფუძველზე წარმართავენ. ძალაუფლება აღარ განისაზღვრება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე პირდაპირ შეჭრითა და იძულებით, არამედ ის ვლინდება ირიბად, კულტურული თუ ეროვნული ნარატივის გამოყენების გზით (Wendt, 1992, Hopf, 2002). კონსტრუქტივიზმის თეორიას რომ დავუჯეროთ, საერთაშორისო პოლიტიკა არის სოციალური კონსტრუქცია და რეალურად სახელმწიფოების პოლიტიკა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ აღიქვამენ ისინი სხვა სახელმწიფოებს. შესაბამისად, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში უდიდესი როლი აქვს მის თითიდენტობას. პოლიტიკური დისკურსი არის ის სივრცე, სადაც ყალიბდება სახელმწიფოთა თვითაღქმა და ხდება განსაზღვრა იმისა, თუ რა არის „ჩემი“ და რა - „სხვისი“. ამგვარად, სახელმწიფო დისკურსს იყენებს როგორც ინსტრუმენტს, რათა საერთაშორისო საზოგადოებას საკუთარი ნარატივი მიაწოდოს და ამ გზით თავისი პოლიტიკური ნაბიჯების ლეგიტიმურობა დაასაბუთოს.

როდესაც სახელმწიფოში ელიტა დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომელთაც საერთაშორისო საზოგადოების მხირდნ აუცილებლად მოჰყვება კრიტიკა, აქტიურდება იდენტობაზე, ისტორიულ და კულტურულ ფესვებზე დაფუძნებული ნარატივები, რომლებიც მათი სამომავლო პოლიტიკური ქმედებების გამართლებისა და ლეგიტიმაციის საშუალება ხდება. გასულ ათწლეულებში ამგვარი პოლიტიკა შეიძლებოდა ყოფილიყო ომის დაწყების ერთგვარი პრელუდია, თუმცა დღეს ეს ყველაფერი გარდაიქმნება ჰიბრიდულ ზეწოლად. ამ დროს სახელმწიფოს მიზანი არაა ტერიტორიის იძულებით დაკავება, არამედ სამიზნე საზოგადოების შიგნიდან დაშლა და დემორალიზება. ეს არის „რბილი ძალის“ გამოვლენა, როდესაც სახელმწიფო პირდაპირ სამხედრო ძალით არ გებრძვის, არამედ გეუბნება, რომ ის შენთან ყველაზე ახლოსაა ისტორიულად თუ კულტურულად. ასეთი პოლიტიკა სწორედ მაშინ ხდება ეფექტური, როდესაც სამიზნე ქვეყნის მოსახლეობას უჩნდება ეჭვები იმის შესახებ, თუ ვინ არის რეალური მტერი - რუსეთი თუ დასავლეთი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი აღმოჩნდა იდენტობის კრიზისის წინაშე. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ნარატივი, რომელიც რუსეთს წარმოაჩენს როგორც უნიკალური ცივილიზაციის მატარებელ და უძლიერეს სახელმწიფოს. რუსეთის უმთავრესი არგუმენტი არის ის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ის ერთადერთი სუვერენული ქვეყანაა. სუვერენიტეტისა და „სუვერენული დემოკრატიის“ იდეოლოგიური დოქტრინა ეფუძნება იმ იდეას, რომ რუსეთი

უნიკალური ცივილიზაციაა. ნაწილობრივ ეს იდეა გამომდინარეობს სლავიანოფილური იდეოლოგიიდანაც, რომელიც გვეუბნება, რომ რუსეთს აქვს სრულიად განსხვავებული განვითარების გზა დასავლეთისგან. თანამედროვე კვლევები მიუთითებს, რომ რუსული საგარეო პოლიტიკა სწორედ იდენტობის პოლიტიკიდან მომდინარეობს, სადაც პოსტსაბჭოთა სივრცე კონსტრუირდება როგორც რუსეთის გავლენის ზონა (Hopf, 2012). აქედან გამომდინარე პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები, მათ შორის, საქართველო კულტურულად და ისტორიულად რუსეთზე დამოკიდებულ ერთეულებად მოიაზრებიან. სწორედ ამგვარი დისკურსით მართლდება რუსეთის ჩარევა მეზობელი სახელმწიფოების პოლიტიკაში. რუსული პოლიტიკის თანამედროვე ფორმაა ჰიბრიდული ომი, რომელიც ეკონომიკური, საინფორმაციო, კულტურული თუ სამხედრო ინსტრუმენტების ერთობლიობას გულისხმობს. ამ პროცესში გადამწყვეტი როლი აქვს ინფორმაციულ ოპერაციებსა და მედია-პროპაგანდას, რისი განხორციელებაც განსაკუთრებით მარტივია ისეთ მცირე და პოლარიზებულ სახელმწიფოებში, როგორიც საქართველოა (Geleotti, 2019).

ამ კონტექსტში საქართველო საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს, რადგან ის ერთდროულად პოსტსაბჭოთა სახელმწიფოა და ამავე დროს დასავლური ინტეგრაციის გზას ადგას. ასევე გასათვალისწინებელია გეოგრაფიული ფაქტორი და ტერიტორიული სიახლოვე რუსეთის ფედერაციასთან, რაც გადამწყვეტ გავლენას ახდენს უსაფრთხოების გარემოსა და პოლიტიკურ დინამიკაზე. 2008 წლის ომის შემდეგ რუსი ლიდერები ხშირად აჯღერებდნენ, რომ საქართველოს პოლიტიკური მოქმედებები გამოწვეული იყო დასავლური მანიპულაციებით. ეს დისკურსი გავრცელდა ქართულ საზოგადოებაში და პოლარიზაცია კიდევ უფრო გაამყარა.

კვლევა ფოკუსირდება რუსული პოლიტიკური იდენტობის დისკურსის ანალიზზე და მის ჰიბრიდული გავლენის მექანიზმებზე საქართველოში. ნაშრომის მთავარი მიზანია აჩვენოს, თუ როგორ გარდაიქმნება რუსული იდენტობის ნარატივებზე დაფუძნებული პოლიტიკა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და პოლიტიკური პროცესების დესტაბილიზაციის ინსტრუმენტად. კვლევა დისკურსს განიხილავს ძალაუფლების ერთ-ერთ ფორმად, რომლის მეშვეობითაც პოლიტიკურ ქმედებებს ეძლევათ ლეგიტიმაცია.

ლიტერატურის მიმოხილვა

რუსეთის ფედერაცია წლებია ცდილობს არაპირდაპირი ზემოქმედების მექანიზმებით მოიპოვოს ის ძალაუფლება და საზღვრები, რომლებიც გასულ საუკუნეში საბჭოთა კავშირს გააჩნდა. ამ მიზნის მისაღწევად ის არ ერიდება სამხედრო ძალის გამოყენებას, თუმცა აღსანიშნავია ის , რომ

ბოლო ათწლეულებში რუსეთმა სტრატეგია შეცვალა. ის მიმართავს არაპირდაპირი ჩარევის მეთოდებს, რაც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს. სწორედ ამ პოლიტიკით რუსეთი ცდილობს გავლენის გაფართოებას მეზობელ სახელმწიფოებზე.

რუსული პოლიტიკური იდენტობის კვლევა საერთაშორისო ურთიერთობებისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს, ვინაიდან ის უკავშირდება ისტორიულ-კულტურული კონსტრუქციის თემებს. არსებული ლიტერატურა ნათლად აჩვენებს, რომ რუსეთის პოლიტიკური ლიდერები საკუთარ იდენტობას არა შიდა სიმტკიცისა და კონსოლიდაციისათვის, არამედ ანტიდასავლური მანიპულაციების ჩამოყალიბებისა და პოლიტიკური გავლენის გასავრცელებლად იყენებენ. ამგვარ „რბილ ძალას“ საკმაოდ ცუდი შედეგები მოაქვს ქვეყნის შიდა პოლიტიკისთვის. ამის კარგი მაგალითია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები.

ლიტერატურაში, განსაკუთრებით პუტინის რუსეთის მაგალითზე, გაანალიზებულია, თუ როგორ იყენებს რუსეთი ე.წ. „ცივილიზაციურ დისკურსს“ და „ჰიბრიდულ ექსპანსიონიზმს“ საკუთარი პოლიტური მიზნების მისაღწევად. ამგვარი ნარატივი რუსეთს წარმოაჩენს განსაკუთრებულ ცივილიზაციად, რომელიც დასავლეთისგან განსხვავებულია და მისი იდენტობა ეფუძნება მართლმადიდებლობას, ტრადიციულ ღირებულებებსა თუ კულტურულ მემკვიდრეობას. „რუსული მართლმადიდებლობის, როგორც კულტურული ავთენტურობისა და მორალური უპირატესობის უცვლელი წყაროს წარმოჩენით, რომელიც კორუმპირებულ და ამორალურ დასავლურ წესრიგს ეწინააღმდეგება, პუტინმა და მედვედევმა შექმნეს ძლიერი ინსტრუმენტი რუსეთის პოსტსაბჭოთა სივრცეში დომინირების უფლების ლეგიტიმაციისთვის“ (McCabe, 2020). საქართველოს შემთხვევაში ეს დისკურსი იკვეთება აფხაზეთისა და ოსეთის საკითხებში, სადაც რუსეთი თავისი „მშვიდობისმყოფელობის“ ნიღბით აღვივებდა სეპარატიზმს ამ საზოგადოებებში. იგი ავრცელებს „მინინაციონალიზაციის“ ნარატივს აფხაზ და ოს მოსახლეობაში, რომლებიც ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან იწყება. რუსეთმა კარგად იცის რას ნიშნავს გაყინული კონფლიქტები და ჰიბრიდული ზემოქმედებით ცდილობს მაქსიმალურად შეუშალოს ხელი საქართველოს დასავლურ ინტეგრაციას (პაპუნიძე, 2022).

რუსული იდენტობის დისკურსი განიცდის მუდმივ ტრანსფორმაციას და ხშირად რადიკალური პოლიტიკური პროცესების საფუძველი ხდება. როდესაც რუსეთის ფედერაციის მხრიდან რბილი ძალის მექანიზმების გავრცელებაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში ყურადღებას უკრაინის შემთხვევა იქცევს. მოცემულ ნაშრომში (Krasnodemska, Kalinichenko, Marchenko, 2020) განხილულია თუ როგორც ცდილობს რუსეთი ისტორიული და კულტურული ნარატივების მანიპულაციით საკუთარი ქმედებების ლეგიტიმაციას. კერძოდ, საუბარია კიბერშეტევებსა და სამხედრო კამპანიებზე, რომლებიც 2014 წლიდან ხდება და რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში

კიდევ უფრო ინტენსიურ სახეს იღებს. ავტორები ამბობენ, რომ ისტორია გახდა „იარაღი“, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო ამართლებს საკუთარ სამხედრო მოქმედებებს და აბსოლუტურად ცვლის საზოგადოებრივ განწყობილებებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მსგავსი ტენდენციები იკვეთება საქართველოს შემთხვევაშიც, რადგან ხშირად გამოიყენება საჭბოთა კავშირის დროს ჩამოყალიბებული შემდგომში ინტერპრეტირებული ნარატივები, როგორიცაა ეთნიკური კონფლიქტების ისტორიული დამახინჯება ან მშვიდობისმყოფელის იმიჯი, რაც პირდაპირ „წაქეზების პოლიტიკაა“ და არა ობიექტური მოცემულობა.

ლიტერატურის ერთობლივი ანალიზი აჩვენებს, რომ რუსეთის ჰიბრიდულ მანიპულაციები ვერ განიმარტება, როგორც მხოლოდ უსაფრთხოების ან სამხედრო სტრატეგიის ფარგლებში. ზემოთ განხილული ნაშრომები ჰიბრიდულ ომს წარმოადგენენ როგორც პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ჩარჩოს, რომელშიც მთავარი ადგილი უკავია ისტორიულ-კულტურულ დისკურსს. ავტორები თანხმდებიან, რომ რუსეთის პოლიტიკური ნაბიჯები კონსტრუირდება ანტიდასავლური ნარატივის პრინციპზე და მიმართულია გარე ჩარევის ლეგიტიმაციისკენ, არა როგორც შიდა კონსოლიდაციისთვის, არამედ მეზობელ სახელწმიფოებზე გავლენის გასავრცელებლად. ამ კონტექსტში საქართველო არის მოწყვლადი სივრცე, რომელშიც რუსეთი თავისი ბუტაფორული იმიჯით ახორციელებს ჰიბრიდულ ზეწოლას. თუმცა, რუსულენოვან ლიტერატურაში, რომელსაც ქვემოთ განვიხილავ ამ საკითხის განსხვავებული ინტერპრეტაცია იკვეთება. რუსეთის ქმედებები აღქმულია როგორც იძულებითი და თავდაცვითი რეაგირება დასავლურ ექსპანსიონიზმზე, რომელიც ცდილობს გაძლიერდეს რუსული იდენტობის დაკნინების ხარჯზე. შესაბამისად, აღნიშნულ ნაშრომებში იდენტობის დისკურსი არის რუსეთის პოლიტიკური მოქმედებების ლეგიტიმაციის მექანიზმი.

რუსულენოვან აკადემიურ ლიტერატურაში ყველაზე დიდი ყურადღება ეთმობა საინფორმაციო და იდეოლოგიურ ასპექტებს. (Белозеров, 2015) ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ რუსულ პოლიტიკურ დისკურსში ჰიბრიდული ომის თეორია ყალიბდება ნორმატიულ ჩარჩოდ, ანუ რუსეთის ქმედებები მეზობელ სახელმწიფოებთან, მათ შორის, საქართველოსთან არაა პირდაპირი სამხედრო ინტერვენცია, არამედ ეს არის კარგად გათვლილი, გონივრული ნაბიჯები, რომლებიც მოიცავს ირიბ ჩარევას ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. ეს ყველაფერი რუსეთს ხსნის იურიდიულ პასუხისმგებლობას და მისი ქმედებები შეიძლება გამართლდეს, ვინაიდან ისინი ხორციელდება მედიაპროპაგანდის საშუალებებით. შემდეგი ავტორი (Ильичев, 2023) აღნიშნავს, რომ რუსეთის ნაბიჯები არის პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც რუსულ ნარატივში ძირითადად ანტიდასავლური განცხადებების ფორმირებაზეა ორიენტირებული. ამ

ნარატივის მიხედვით, რუსეთი თავის პოლიტიკას აღიქვამს როგორც აუცილებელ რეაქციას დასავლეთის ქმედებებზე, ვინაიდან დასავლეთ ცდილობს რუსეთის იდენტობის საფუძვლების შერყებასა და მისი კულტურული ფესვების დამახინჯებას. აქედან გამომდინარე, საქართველოს მიმართ განხორციელებული დასავლეთის დემონიზაციისკენ მიმართული მოწოდებები, მედიაპროპაგანდა და კიბერთავდასხმები პოლიტიკურ და საინფორმაციო სივრცეზე რუსულ დისკურსში არ განიხილება პირდაპირ აგრესიად. პირიქით, ისინი წარმოჩნდება „თავდაცვით რეაგირებად“ მტრის ქმედებებზე. ავტორების მიხედვით, ჰიბრიდული ომი არის ერთგვარი იარაღი რუსეთისთვის, რომლითაც იგი დასავლეთს წარმოაჩენს მტრად, ხოლო საკუთარ თავს კულტურულ-ეროვნული ფესვების დამცველ სახელმწიფოდ. რუსეთის პოლიტიკური მიზნები განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება ვლადიმირ პუტინის საჯარო განცხადებებში, სადაც ჰიბრიდული ომის კონცეფცია აქტიურად გამოიყენება საკუთარი პოლიტიკური ქმედებების ლეგიტიმაციისთვის.

2019 წელს უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე პუტინმა განაცხადა, რომ ჰიბრიდული ომი დასავლეთის მიერ არის დაწყებული და რუსეთი აღნიშნულ პროცესებში მხოლოდ საპასუხო მოქმედებებს ახორციელებს. ამგვარი რიტორიკა ჰიბრიდულ ომს აქცევს ანტიდასავლური ნარატივის მთავარ ჩარჩოდ, რომელშიც რუსეთი საკუთარ თავს წარმოაჩენს არა აგრესორად, არამედ რეაგირებად აქტორად (Pravda, 2023). ასეთივე დისკურსი იკვეთება 2008 წლის აგვისტოს ომის შეფასებაშიც. ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთის სამხედრო ჩარევა კონფლიქტში იყო პასუხი საქართველოს ხელისუფლების პროვოკაციულ ქმედებებზე, რუსეთი კი იძულებული გახდა დაეცვა საკუთარი მოქალაქეები. აღნიშნული ნარატივი მიზანმიმართულად ამკვიდრებს წარმოდგენას ქართულ საზოგადოებაში, თითქოს ომი საქართველომ დაიწყო, რაც ცალსახად ეწინააღმდეგება საერთაშორისო გამოძიებებსა და ობიექტურ რეალობას. ამგვარად, პასუხისმგებლობა გადატანილია სხვა აქტორებზე, ხოლო რუსეთის ქმედებები წარმოდგენილია როგორც იძულებითი და ლეგიტიმური, შედეგად, ჰიბრიდული ომი რუსულ დისკურსში ყალიბდება იდეოლოგიურ ინსტრუმენტად, რომელიც საკუთარი უნიკალურობის იმიჯით ამართლებს აგრესიულ პოლიტიკას.

ნაშრომში „რუსეთის ჰიბრიდული ომი საქართველოში 1991-1993 წლებში და უკრაინაში 2014-2015 წლებში: ისტორიული შედარებითი ანალიზი“ (შურღაია, 2023) ავტორი ამბობს, რომ რუსეთის მიერ ჰიბრიდული ზემოქმედების მეთოდების გამოყენება საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის დესტაბილიზაციის მიზნით ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დაიწყო, როდესაც რუსეთი ცდილობდა სეპარატიზმის გაღვივებას აფხაზ მოსახლეობაში. ამ დროს საინფორმაციო და პოლიტიკური ზეწოლა ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობდა. ავტორი იმასაც ამბობს,

რომ ის სტრატეგიები, რომლებიც რუსეთმა უკრაინასთან გამოიყენა 2014-15 წლებში, ყირიმის ომის პერიოდში, ძალიან ჰგავს მის ნაბიჯებს საქართველოში. მსგავსი მიდგომები შეინიშნებოდა 2008 წელს სამხრეთ ოსეთის მიმართულებით განხორციელებულ ქმედებებში, ასევე იმ კიბერშეტევებში, რომლებიც მიმართული იყო საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებსა და პოლიტიკურ პლათფორმებზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ პერიოდში რუსეთი აქტიურად იყენებდა დეზინფორმაციულ სტრატეგიებს საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობაში. შურღაიას, რომ დავუბრუნდეთ, იგი ამბობს, რომ ჰიბრიდული ომი უნდა განიხილებოდეს პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ჩარჩოდ და არა სამხედრო სტრატეგიად, სადაც რუსეთის ქმედებები ლეგიტიმურადაა წარმოჩენილი. პარალელურად უნდა განვიხილო ნაშრომი „რუსეთის ჰიბრიდული ომის ელემენტები საქართველოში: 2008 წლიდან დღემდე“ (გაგნიძე, 2025), რომლის ავტორიც აღნიშნავს, რომ რუსული ჰიბრიდული სტრატეგია განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტომის ომის შემდეგ გააქტიურდა. რუსეთმა შეტევა დაიწყო საინფორმაციო და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით. ეს პროცესები გამოიხატებოდა მედია პროპაგანდაში, რომლის გავლენაც მნიშვნელოვნად აისახა ქართულ საზოგადოებრივ აზრზე. ამასთანავე, ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ ზეწოლასაც, რაც ვლინდებოდა ენერგეტიკული დამოკიდებულების გამოყენებასა და სავაჭრო შეზღუდვებში. განხორციელდა კიბერშეტევები სახელმწიფო სტრუქტურებსა და პოლიტიკურ პლატფორმებზე. კრემლი იყენებდა რბილ ძალას მართლმადიდებლობისა და საერთო ისტორიული ნარატივების აქტიური პროპაგანდირებით, რომლის მეშვეობითაც რუსეთი ცდილობდა გაემართლებინა საკუთარი პოლიტიკა. აღნიშნული მექანიზმები აჩვენებს, რომ რუსეთის ჰიბრიდული სტრატეგია მიზანმიმართულად ემსახურებოდა საქართველოს დასავლური ინტეგრაციის შეფერხების პროცესს.

2008 წლის ომამდე რამდენიმე თვით ადრე, აპრილში, გაიმართა ნატოს ბუქარესტის სამიტი, სადაც საქართველოსა და უკრაინის ნატოში ინტეგრაციის საკითხი ერთ-ერთ მთავარ თემად განიხილებოდა. ამ საკითხის განხილვა შემოდგომით უნდა გაგრძელებულიყო, თუმცა რუსეთმა შექმნილი ვითარება, თავისივე სასიკეთოდ გამოიყენა და სამხედრო მოქმედებები შემოდგომამდე დაიწყო. ამრიგად, კრემლი ყველანაირად ცდილობდა და ცდილობს გააღრმაოს პოლარიზაცია ქართულ საზოგადოებაში და კიდევ უფრო დააშოროს ქვეყანა ევროპულ და ევროატლანტიკურ პერსპექტივას. ამას ადასტურებს კვლევევაში მოყვანილი ციტატაც „შემთხვევითი არ არის, რომ რუსეთის მიერ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ხაზს უსვამს ,,ტრადიციული რუსული სულიერ-მორალური ღირებულებების'' მნიშვნელობას და მათ ვესტერნიზაციის საფრთხის ქვეშ მყოფად მიიჩნევს“ (Seskuria, 2020). აღნიშნული წყარო ხაზს უსვამს, რომ რუსეთი სულიერ-ზნეობრივ რიტორიკას იყენებს დასავლეთს დისკრედიტაციის ინსტრუმენტად და საკუთარი ქმედებების გასამართლებლად. დასავლეთი წარმოდგენილია

ძალად, რომელიც არღვევს ტრადიციულ ღირსებულებებს, ხოლო რუსეთი იცავს მათ. სულიერ ღირებულებებზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს რუსეთის მიერ ქრისტიანულ-მართლმადიდებული ნარატივის აქტიური გავრცელება და ამ ღირებულებების დაცვის აუცლებლობაზე მუდმივი საუბარი. ამ კონტექსტში ევროპა წარმოდგენილია, როგორც სივრცე, რომლემაც ქრისტიანულ ღირებულებებს გადაუხვია. ვლადიმირ პუტინი თავის განცხადებებში, მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსს აიგივებს ერთსქესიანთა პარტნიორობის საფუძველზე შექმნილ ოჯახებთან. ამგვარი პროპაგანდით ახდენს კრემლი დასავლური დემოკრატიების დიკრიმინაციას. ამ ნარატივს დიდი გავლენა აქვს ქართულ პოლიტიკურ რეალობასა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. ამასთანავე, რუსეთის ზეწოლა საქართველოზე ხშირად ხორციელდება ადგილობრივი აქტორების, მედიისა და სხვა გავლენიანი ჯგუფების მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული კვლევები რუსეთის მოქმედების მექანიზმებს საკმაოდ სიღრმისეულად აღწერს, ნაკლებად არის გაანალიზებული, თუ როგორ აისახება ეს პროცესები საქართველოს შიდაპოლიტიკურ სივრცეში. ნაკლები ყურადღებას ეთმობა იმას, თუ როგორ გადმოდის ეს დისკურსი ადგილობრივ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გარემოში და როგორ აღიქმება იგი როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე. არსებული ლიტერატურა ძირიტადად სახელმწიფოტაშორის ურთიერთობებზე ამახვილებს ყურადღბას, რაც ნაკლებად აჩვენებს ადგილობრივ პოლიტიკურ აქტორებს, როგორებიცაა: პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიცია. ასევე, არაა ფოკუსი იმაზ,ე, თუ რა როლი და რეაქცია აქვს საზოგადოებაში რუსეთის დისკურსული ზეწოლის აღქმასა და შეფასებაში. ასევე ნაკლებად არის გაანალიზებული, რატომ და როგორ გარდაიქმნება ეს დისკურსული მანიპულაციები ისეთ მექანიზმად, რომელსაც შეუძლია რეალური პოლიტიკური ცვლილებების გამოწვევა და საპასუხო პოლიტიკის ფორმირებაზე გავლენის მოხდენა.

მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდს, რომლის მიზანიც გახლავთ, გაანალიზდეს, თუ როგორ და რა მექანიზმებით მოქმედებს რუსული პოლიტიკური იდენტობის დისკურსი და როგორ გარდაიქმნება იგი ჰიბრიდული გავლენის ინსტრუმენტად საქართველოში. კვლევა არ საჭიროებს რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებას, გაზომვებს ან სტატისტიკურ მონაცემებს, არამედ საჭიროებს დისკუსიას, შედარებას, ანალიზსა და პოლიტიკური ტექსტების სიღრმისეულ შესწავლას, რაც თვისებრივი მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს.

კვლევის ერთ-ერთ მთავარ მეთოდს წარმოადგენს დისკურსული ანალიზი, რაც გამოკვეთს, თუ როგორ ყალიბდება რუსული პოლიტიკური იდენტობა კულტურული თუ ისტორიული კონსტრუქციების მეშვეობით. ტექსტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ მათი მიზნები, ფუნქციები და პოლიტიკური შედეგები. კვლევაში დისკურსი განიხილება, როგორც ძალაუფლების ფორმა და ლეგიტიმაციის წყარო, რომლის მეშვეობითაც ყალიბდება წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რა მიიჩნევა „საკუთრად“ და როგორ ცდილობს რუსეთი გავლენის გავრცელებას იმ სივრცეებში, რომლებიც მის კონტროლს არ ექვემდებარება. დისკურსის ანალიზის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ანტიდასავლური ნარატივების კონსტრუქციას, რაც ნათლად იკვეთება ვლადიმირ პუტინის საჯარო განცხადებებსა და ოფიციალურ პოლიტიკურ რიტორიკაში. ამ ნარატივებში ხშირად გამოიყენება „მართლმადიდებლობისა“ და ტრადიციული ღირებულებების თემატიკა, რომელიც არის ლეგიტიმაციის მექანიზმი და ამართლებს რუსეთის საგარეო პოლიტიკურ ქმედებებს, მათ შორის ჰიბრიდული ზეწოლის ინსტრუმენტების გამოყენებას მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. ამასთანავე, გაანალიზებულია კრემლის „დამცველისა“ და „მშვიდობისმყოფელის“ იმიჯის ტრანსფორმაცია საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი საგარეო პოლიტიკური ქმედებების გასამართლებლად.

კვლევაში გამოყენებულია წყაროების შედარებითი ანალიზის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთს უპირისპირდება ინგლისურნოვანი, რუსულენოვანი და ქართულენოვანი აკადემიური და ანალიტიკური წყაროები. აღნიშნული მიდგომა შესაძლებელს ხდის დისკურსული განსხვავებების, შეფასებითი ჩარჩოებისა და იდეოლოგიური აქცენტების გამოვლენას. ამასთანავე, კვლევა ეფუძნება სამაგიდე კვლევას, რომელშიც გაანალიზებულია პირველადი და მეორეული წყაროები. პირველადი წყაროები ძირითადად მოიცავს პუტინის განცხადებებს და რუსეთის მიერ გაჟღერებულ ნარატივს, სახელმწიფოებრივი იდენტობის განმსაზღვრელ ტექსტებს, ხოლო მეორეული წყაროები მოიცავს დარგის სპეციალისტთა აკადემიურ ლიტერატურას, პოლიტიკურ კვლევებსა და ექსპერტულ შეფასებებს, რომლებშიც საუბარია რუსულ ჰიბრიდულ სტრატეგიებზე, მისი გავლენის დამყარების მექანიზმებსა და დისკურსულ პოლიტიკაზე.

კვლევაში გამოყენებულია შემთხვევის ანალიზის მეთოდი, რომელიც ემყარება საქართველოს ისტორიულ გამოცდილებას, კერძოდ, აფხაზეთისა და ოსეთის საკითხს და სეპარატიზმის მხარდაჭერას რუსეთის მიერ, 2008 წლის აგვისტოს ომსა და ამავე პერიოდში რუსეთის მხრიდან კიბერთავდასხმებს სამთავრობო საიტებზე. ეს ყველაფერი საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ,

როგორ გარდაიქმნება იდენტობის დისკურსი პრაქტიკულ პოლიტიკაში და რა გავლენას ახდენს ის ქართულ პოლიტიკურ რეალობაზე.

წინამდებარე კვლევას გააჩნია მეთოდოლოგიური შეზღუდვები, რომლებიც გამომდინარეობს არჩეული კვლევითი დიზაინისა და ნაშრომის მიზნებიდან. კვლევა არ ეფუძნება საველე სამუშაოს, ინტერვიუებს ან რაოდენობრივ მონაცემებს, რის გამოც არ ხდება ქართული საზოგადოების ინდივიდუალური აღქმებისა და დამოკიდებულებების ემპირიული ასახვა. შესაბამისად, ნაშრომი არ ისახავს მიზნად საზოგადოებრივი აზრის სტატისტიკურ გაზომვას ან ქცევითი ტენდენციების რაოდენობრივ ანალიზს. ამასთანავე, კვლევა კონცენტრირებულია დისკურსულ წყაროებზე, რაც გარკვეულწილად ზღუდავს შედეგების განზოგადების შესაძლებლობას, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს კვლევის სისუსტეს, ვინაიდან ნაშრომის მიზანი არ არის ჰიბრიდული ზემოქმედების შედეგების ემპირიული დადასტურება, არამედ იმ დისკურსის ჩარჩოების იდენტიფიცირება და ანალიზი, რომელთა მეშვეობიტაც ყალიბდება პოლიტიკური აღქმები და ლეგიტიმაცია ეძლევა რუსეთის ქმედებებს. მოცემული მეთოდოლოგიური მიდგომა საშუალებას იძლევა, ჰიბრიდული გავლენა განიხილებოდეს არა როგორც იზოლირებულ მოვლენათა ერთობლიობა, არამედ როგორც სისტემური და იდეოლოგიურად კონსტრუირებული პროცესი. შესაბამისად, კვლევა იძლევა ანალიტიკურ სიღრმესა და თეორიულ საფუძვლიანობას, რაც შეესაბამება თვისებრივ ლოგიკას.

კვლევის შედეგები

წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხორციელებულმა დისკურსულმა და შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ რუსული პოლიტიკური იდენტობის დისკურსი საქართველოში ფუნქციონირებს არა როგორც პასიური ნარატიული ჩარჩო, არამედ მიზანმიმართული ჰიბრიდული ზემოქმედების მექანიზმი. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ რუსეთის მიერ წარმოებული იდენტობის პოლიტიკა გარდაიქმნება პოლიტიკურ ინსტრუმენტად, რომელიც მიმართულია საქართველოს შიდა პოლიტიკური სტაბილურობის შერყევის, საზოგადოებრივი პოლარიზაციის გაღრმავებისა და საგარეო პოლიტიკური კურსის დისკრედიტაციისაკენ.

პირველ რიგში, ანალიზმა აჩვენა, რომ რუსული პოლიტიკური დისკურსის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ანტიდასავლური ნარატივის სისტემური გამოყენება. დასავლეთი რუსულ ოფიციალურ განცხადებებსა და მედია-ტექსტებში წარმოჩენილია აგრესიულ, კულტურულად მტრულ და იდენტობის დამანგრეველ ძალად, მაშინ როდესაც კრემლი საკუთარ თავს წარმოაჩენს ტრადიციული ღირებულებების, მართლმადიდებლობისა და ისტორიული

სამართლიანობის დამცველად. აღნიშნულით იქმნება ისეთი პოლიტიკური რეალობა, რომლითაც რუსეთის ჩარევა მეზობელი სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს, პოლიტიკურ პროცესებში გამართლებულად მიიჩნევა.

კვლევის შედეგები ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს შემთხვევაში რუსული იდენტობის დისკურსი ადაპტირდება ადგილობრივ კონტექსტზე. საერთო ისტორიის, კულტურული სიახლოვისა და რელიგიური ერთობის ხაზგასმით, რუსეთი ახერხებს თავისი ნარატივების ინტეგრირებას ქართულ საინფორმაციო სივრცეში. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა მართლმადიდებლობისა და ტრადიციული ღირებულებების დაცვის რიტორიკის გამოყენებით, რომლითაც რუსეთი საკუთარ თავს წარმოაჩენს ქართული იდენტობისა და კულტურის გადამრჩენელად.

მნიშვნელოვან შედეგად ასევე უნდა ჩაითვალოს ის, რომ დისკურსული ანალიზი ავლენს რუსეთის მიერ „მშვიდობისმყოფელისა“ და „დამცველის“ იმიჯის სისტემურ გამოყენებას. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების კონტექსტში რუსეთი საკუთარ როლს წარმოაჩენს როგორც იძულებით რეაგირებას ჰუმანიტარულ კრიზისებზე, რაც რეალურად ფარავს სეპარატიზმის მხარდაჭერასა და კონფლიქტების ,,გაყინვის“ პოლიტიკას. აღნიშნული ნარატივი მიზანმიმართულად ამცირებს საქართველოს სუვერენული პასუხისმგებლობის აღქმას და ამართლებს რუსეთის გრძელვადიან სამხედრო და პოლიტიკურ მოქმედებებს რეგიონში.

კვლევის ფარგლებში გაანალიზებულმა რუსულენოვანმა წყაროებმა აჩვენა, რომ ჰიბრიდული ომი რუსულ დისკურსში წარმოდგენილია როგორც ნორმატიული და ლეგიტიმური რეაგირება „დასავლურ ექსპანსიონიზმზე“. ამ ჩარჩოში საქართველოს მიმართ განხორციელებული დეზინფორმაციული კამპანიები არ აღიქმება აგრესიად, არამედ განიხილება თავდაცვით მოქმედებებად, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იდენტობის დისკურსის ლეგიტიმაციის ფუნქციას.

კვლევის შედეგები ასევე ადასტურებს, რომ ამგვარი დისკურსის ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გადმოტანა ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ფრაგმენტაციას. ანტიდასავლური გზავნილების ინტენსიური გავრცელება ქმნის ალტერნატიულ საინფორმაციო რეალობას, სადაც პასუხისმგებლობა შიდა პრობლემებზე გარე აქტორებს - დასავლეთს, ნატოსა და ევროკავშირს ეკისრებათ. შედეგად, მცირდება ნდობა დასავლური ინსტიტუტების მიმართ და იზრდება სკეპტიციზმი ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივის მიმართ.

საერთო ჯამში, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რუსული პოლტიკური იდენტობის დისკურსი საქართველოში არ მოქმედებს იზოლირებულად, არამედ წარმოადგენს ჰიბრიდული

ზემოქმედების მრავალგანზომილებიან სისტემას. იგი აერთიანებს დეზინფორმაციას, კულტურულ-რელიგიურ ნარატივებს, ისტორიული მეხსიერების მანიპულაციას და პოლიტიკური პასუხისმგებლობების გადატანას, რაც ერთობლივად ზემოქმედებს როგორც საზოგადოებრივ აღქმებზე, ისე პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირების პროცესზე.

დასკვნა

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ რუსული პოლიტიკური იდენტობა თანამედროვე პოლიტიკაში არ შემოიფარგლება კულტურული თვითაღქმით და სიმბოლური მნიშვნელობით. იგი გამოიყენება როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც რუსეთი ამართლებს საკუთარ ქმედებებს მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. საქართველოს შემთხვევაში ეს იდენტობის დისკურსი მნიშვნელოვანი ელემენტია ჰიბრიდული ზემოქმედების სტრატეგიაში. კვლევის ანალიზი მიუთითებს, რომ დისკურსი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური რეალობის ფორმირებაში. რუსული პოლიტიკური ტექსტები და ნარატივები ქმნის საფრთხეების კონკრეტულ აღქმას, განსაზღვრავს მეგობრისა და მტრის სურათს და ამართლებს პოლიტიკურ ჩარევას. ამ თვალსაზრისით, ჰიბრიდული ზემოქმედება ხორციელდება არა მხოლოდ პრაქტიკული მოქმედებების, არამედ აზრობრივი ჩარჩოების მეშვეობით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რუსული პოლიტიკური დისკურსი საქართველოში არ მოქმედებს შემთხვევით ანუ, იგი წარმოადგენს შედარებით თანმიმდევრულ ნარატიულ სისტემას, რომელიც ერთდროულად ეხება ისტორიას, რელიგიას, დასავლეთთან ურთიერთობასა და სუვერენიტეტის საკითხს. ეს სისტემურობა ზრდის დისკურსის გავლენას და ართულებს მისი კრიტიკული შეფასების პროცესს საზოგადოებრივ სივრცეში.

კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ რუსული ჰიბრიდული გავლენის მთავარი საფრთხე მხოლოდ კონკრეტულ პოლიტიკურ შედეგებში არ გამოიხატება. უფრო მნიშვნელოვანი რისკი არის ის, რომ დროთა განმავლობაში იცვლება საზოგადოებრივი აღქმები სახელმწიფოს როლის, დასავლური ინტეგრაციისა და ეროვნული ინტერესების შესახებ. ამგვარი ცვლილებები კი გრძელვადიან გავლენას ახდენს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე. კვლევის საფუძველზე მიზანშეწონილია, მომავალ კვლევებში მეტი ყურადღება დაეთმოს რუსული დისკურსის გავრცელებას ქართულ მედიასა და სოციალურ ქსელებში. ეს ხელს შეუწყობს ნარატივების მანიპულაციური ზემოქმედების უკეთ გააზრებას. ასევე, მნიშვნელოვანია ჰიბრიდული ზემოქმედების კვლევა სხვადასხვა დისციპლინის ჩართულობით. პრაქტიკული თვალსაზრისით, რეკომენდებულია კრიტიკული მედიაწიგნიერების განვითარება, როგორც ერთ-ერთი ეფექტიანი

გზა საზოგადოებრივი მდგრადობის გასაძლიერებლად დეზინფორმაციისა და მანიპულაციური ნარატივების გავრცელებისა თუ პრევენცირების მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა

გაგნიძე, ლ. (2025). რუსეთის ჰიბრიდული ომის ელემენტები საქართველოში: 2008 წლიდან დღემდე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

შურღაია, ბ. (2023). რუსეთის ჰიბრიდული ომი საქართველოში 1991-1993 წლებში და უკრაინაში 2014–2015 წლებში: ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პაპუნიძე, ი. (2022). რუსეთის მიერ ოკუპირებულ სეპარატისტულ რეგიონებში არსებული მინინაციონალიზმის გავლენა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

Galeotti, M. (2022). The weaponization of everything: A field guide to the new way of war. New Haven, CT: Yale University Press.

Hopf, T. (2002). Social construction of international politics: Identities and foreign policies, Moscow, 1955 and 1999. Ithaca, NY: Cornell University Press.

Hopf, T. (2012). The evolution of Russia's place in the world: 1991–2011. Europe-Asia Studies, 64(3), 427–443.

Krasnodemska, I., Kalinichenko, V., & Marchenko, S. (2024*).* History as a weapon: Narratives and propaganda in the Russian-Ukrainian war.

McCabe, A. (2020). Hybrid exceptionalism, civilisational discourse and national identity in Putin's Russia. Leviathan, 10(2).

Seskuria, N. (n.d.). Russia's "hybrid aggression" against Georgia: The use of local and external tools. Center for Strategic and International Studies (CSIS).

Белозеров, В. К. (2015). Гибридная война в отечественном политическом и научном дискурсе.

Правда. (2023). Путин выступил с обращением к россиянам: основные тезисы. Pravda.com.ua.

Abstract

The issue of Russian political identity has become an active political tool in recent decades, not just a form of self-assessment. The Russian political elite uses civilizational narratives to legitimize its foreign policy actions, especially in the post-Soviet space, where Georgia is a particularly vulnerable case.

This article examines how the discourse of Russian political identity is transformed into an instrument of hybrid influence in Georgia. Based on historical, cultural, and geopolitical foundations, Russia develops political strategies that are often selective and strategically oriented. These strategies have been used to justify various forms of hybrid pressure since the 1990s. Such measures include incitement of separatism among the Abkhazian and Ossetian populations, the spread of disinformation through media channels, and cyberattacks targeting Georgian political and governmental platforms. These mechanisms aim to influence political preferences and shape public opinion.

The study is based on a qualitative discourse analysis of academic literature, political speeches, and disinformation narratives. The findings show that anti-Western narratives and "traditional values" significantly influence public opinion and political choices in Georgia today.

Keywords: Russian identity, hybrid attacks, political discourse, disinformation, Georgia.